

კრიპტოვალუტები და მათი რისკები

რეზიუმე

წინამდებარე სტატია მიზნად ისახავს წარმოადგინოს კრიპტოგრაფიულ ვალუტასთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის რისკები, უკვე არსებული გამოცდილებებზე დაყრდნობით და აქვს რეკომენდაციული და საინფორმაციო ხასიათი. 21 საუკუნის ინოვაცია ფულის საკითხში კრიპტოგრაფიული ვალუტა თავისი მახასიათებლებით და განსხვავებებით ელექტრონულ და ტრადიციულ ფულთან მიმართებაში წარმოდგენილია როგორც რისკების დაზღვევის არმქონე ფინანსური საშუალება. დასახული მიზნის შესაბამისად სტატიის პირველი ნაწილი ეხება კრიპტოგრაფიული ფულის მახასიათებელ ნიშანთვისებებს. ხოლო მეორე ნაწილში წარმოდგენილია კრიპტოგრაფიული ვალუტის მიმართ არსებული გამოცდილება.

საკვანძო სიტყვები: კრიპტოვალუტა, დეცენტრალიზებული, ფინანსური რისკი, ინვესტირება, არარეგულირებადი, ფულის გათეთრება, კიბერთავდასხმა.

პირითი ტექსტი

კრიპტოგრაფიული ფულის გამოჩენასთან და მისი ცნობადობის გაზრდასთან ერთად იმატა მასთან დაკავშირებულმა რისკებმაც. კრიპტოვალუტა ახალი რეველუციური საშუალებაა მსოფლიო საფინანსო სისტემაში, რომლის უარყოფა შეუძლებელია მისი ყოველწლიური გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე. რაც გვავალებულებს სიღრმისეულად და დეტალურად შევისწავლოთ როგორც მისი უპირატესობები ასევე მისი ნაკლოვანებებიც აღნიშნულ სტატიაში გავეცნობით მასთან დაკავშირებულ რისკებს.

ბიტკოინში ინვესტირების ან ბიტკოინით ფულის გადარიცხვის მსურველებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ ვირტუალური ვალუტა ჯერ კიდევ არ არის დაშვებული ბევრ ქვეყანაში, როგორც საგადახდელო საშუალება და, შესაბამისად, ბანკებს და გადამცემელ ჯიხურებს არა აქვთ ბიტკოინი სავალუტო კალათაში და არ ანაღდევენ ბიტკოინს ან რომელიმე კრიპტოვალუტის სახეობას ბიტკოინებს გააჩნია ნაკლოვანებები

ნანა გულიკაშვილი

სტუ-ს დოქტორანტი

პალარი მოსიაშვილი

სტუ-ს პროფესორი

რომლის შესახებაც აუცილებელია ინფორმირებული იყოს მისით დაინტერესებული საზოგადოება რომლებიც ყველაზე ხშირად ყურადღებას ამახვილებენ ისეთ ფაქტორებზე როგორებიცაა ის, რომ ბიტკოინის ხშირად არანაირი სახელმწიფო არ არეგულირებს, ეს კარგიც არის და იმავედროულად ცუდიც. დღეს ყველა ქვეყანა შეთანხმებულია იმაზე, რომ სწორედ სახელმწიფოა ის სუბიექტი, რომელმაც უნდა აკრიფოს გადასახადები და დაბეჭდოს ფული ხოლო ამ ჯაჭვის გაწყვეტა უზარმაზარ შესაძლებლობებს აჩენს დანაშაულებისათვის, როგორებიცაა გადასახადებისთვის თავის არიდება, ტერორიზმის დაფინანსება, კრიმინალური ფულის გათეთრება და ა.შ. მსოფლიოს ცენტრალური ბანკები მთელი ამ ხნის განმავლობაში აფრთხილებს მომხმარებელს, რომ კრიპტოვალუტის და განსაკუთრებით, ბიტკოინის ფასის რყევის მაღალი ამპლიტუდა და არასტაბილურობა სპეკულაციური გარიგებების საფრთხეს ქმნის და შესაძლოა, ნებისმიერ დროს გასკდეს. ზარალის შემთხვევაში კი არცერთი მარეგულირებელი ორგანო პასუხისმგებელი არ იქნება. მაგალითად საგულისხმოა, რომ Forex-ზე მოვაჭრე ტრეიდერებს ეროვნული ბანკი მოცემულ მომენტში არ არეგულირებს, ამიტომ მათი მომსახურების ხარისხი ან მოგების მარჟა პირადი რისკია. თაღლითობის შემთხვევაში თაღლითის დასჯის და ზარალის ანაზღაურების შესაძლებლობა დაბალია. თანაც, ბიტკოინით განხორციელებულ ტრანზაქციის შეცდომის შემთხვევაში თანხას ავტომატურად უკან ვერ დააბრუნებ, როგორც ეს ბანკის ან ფულადი გადარიცხვის ცნობილი საერთაშორისო სისტემების მეშვეობით განხორციელებული ტრანზაქციის დროს ხდება. ასევე თუ საფულის პაროლი დაგავიწყდათ, მისი აღდგენა შეუძლებელია. კრიპტოვალუტის ფასი ძალიან მაღალი

მერყეობით გამოირჩევა, რის გამოც ინვესტირება დიდ რისკთან არის დაკავშირებული და მას ეკონომისტების დიდი ნაწილი სპეკულაციურ ბუშტად თვლის, რომელიც სულ მალე გასკდება. კრიპტოვალუტა, ფაქტობრივად, უფრო მაღალი უსაფრთხოებისთვის და დაცულობისთვის შეიქმნა, ვიდრე ტრადიციული ფული და აქტივები, თუმცა როგორც რეალობა აჩვენებს, გაკოტრება და ჰაკერული თავდასხმა აქაც დასაშვებია. თანაც, კრიპტოვალუტის ბირჟების გაკოტრების და ანგარიშების გატეხვის შემთხვევებში დაზარალებული ყველაფერს კარგავს სწორედ მარეგულირებელი მექანიზმების არარსებობის გამო. მაგალითად, 2013 წელს ჩინური მსხვილი კრიპტოვალუტის ბირჟის გაკოტრების შედეგად ბიტკოინის მფლობელებმა 5 მილიონი დოლარის მოცულობის ბიტკოინი დაკარგეს. 2014 წელს იმ დროისთვის უმსხვილესი კრიპტოვალუტის ბირჟა Mt.Gox გაკოტრდა, 473 მილიონი დოლარის ღირებულების ბიტკოინი გაქრა, რაც დაახლოებით 750 ათას ბიტკოინს შეადგენდა. შესაბამისად, ბიტკოინის ფასი იმ წელიწადს 1160 დოლარიდან 400 დოლარამდე დავარდა. 2017 წლის ნოემბერსა და დეკემბრის დასაწყისში განხორციელდა ჰაკერული თავდასხმები ბიტკოინის მწარმოებელ კომპანიებზე და გაქრა ჯერ 31 მილიონის, შემდეგ კი 64 მილიონი დოლარის მოცულობის ბიტკოინი. მაგალითად 2018 წელს პირველი კრიპტოვალუტის ბანკი დაჯარიმდა 2,7 მილიონი დოლარით რადგან ა.შ.შ-ის ფასიანი ქაღალდების კომისიის თქმით მან თაღლითურად მოიზიდა თანხა ICO ს პროცესში (ICO-ტოკენების პირველადი განთავსების პროცედურა). ტოკენი ბიტკოინის სისტემის მიერ გამოიყენება სამი ტიპის ამოცანის დროს: აქციების გაყიდვა, დამატებითი სერვისის მონეტიზაცია და კრედიტირების დროს. ასევე მან შეიძინა ბანკი რომელიც ა.შ.შ-ის დეპოზიტების დაზღვევის ფედერალური კორპორაციის შემადგენლობაშია რაც აძლევდა იმის უფლებას რომ კლიენტებისათვის შეეთავაზებინა Arise Bank-ის მარკით ბარათი და ანგარიში რის გამოც თაღლითურად წარმოაჩენდა თავს როგორც პირველი დეცენტრალიზებული ბანკი და არწმუნებდა კლიენტებს რომ სხვადასხვა კრიპტოვალუტით ავტომატური ვაჭრობის კომპიუტერული და-ნართი ქონდა შექმნილი. ამავე წელს Evropol-მა წარადგინა ანგარიში რომელშიც ნათქვამია რომ ისლამურმა სახელმწიფომ ტერორისტული აქ-

ტივობის დასაფინანსებლად „ზქაში“ კრიპტოვალუტის ერთ-ერთი სახეობა გამოიყენა რაც მოიცავდა იმას რომ მათ შეიძინეს საიტების დომენები და სოციალური მედიის პლატფორმები ჩამოტვირთა რაც დაფინანსების მოპოვებისათვის და თავდასხმების ორგანიზებისათვის გამოიყენეს. „ზქაში“ დეცენტრალიზებული საგადახდო სისტემაა რომელიც გამოიყენება გამჭვირვალე გადარიცხვებისათვის ასევე გამოიყენება დაფარული შესყიდვებისათვის. ასევე FBI-იმ დახურა საიტი SILK ROAD რომელიც ნარკოტიკებით ვაჭრობდა და რომელიც მხოლოდ ბიტკოინებს იღებდა. ბიტკოინები ძალიან პოპულარულია პორნოგრაფიულ და ნარკოტიკებით მონატრე ვებგვერდებს შორის რადგან ციფრული ვალუტა არ ექვემდებარება სახელმწიფო უწყებებს და ადვილად შეიძლება ქვეყნის გარეთ გატანა ასევე ძალიან ხელსაყრელია საერთაშორისო და ელექტრონული ვაჭრობისათვის. ასე რომ ბიტკოინი სააკმაოდ ხელსაყრელი შესაძლებლობაა კრიმინალებისათვის ფულის გასათეთრებლად და არაკანონიერი მოქმედებებისათვის ამიტომ სამხრეთ კორეამ კრიპტოვალუტებით ანონიმური ვაჭრობა აკრძალა 2018 წელს გარდა ამისა კრიპტოვალუტას ძალიან მკვეთრი რყევები ახასიათებს, რაც კურსთან „სათამაშოდ“ უამრავ მოთამაშეს (ე.წ. გემბლერს) იზიდავს - მათ, ვინც უფრო ფსონებს დებს და არა ინვესტიციებს. ეს მხოლოდ ზრდის რყევებს და ბიტკოინი ფინანსურ პირამიდას ემსგავსება. კრიპტოვალუტის კონტროლი განაწილებულია ჩინელ მაინერებს შორის, რომლებიც ბიტკოინის განვითარების ერთიან ხედვაზე ვერ თანხმდებიან. ხოლო ახალი მონეტების შექმნის და ტრანზაქციების განხორციელებისთვის აუცილებელია მაინინგი. ამისთვის ბიტკოინი იყენებს სქემას, რომელიც გულისხმობს უამრავ გამოთვლით ოპერაციას, რაზეც ძალიან დიდი რაოდენობით ენერგია იხარჯება. კრიპტოვალუტის ფასის ზრდასთან ერთად, მაინერები ზრდიან თავიანთი სისტემების სიმძლავრეს და სულ უფრო მეტ ენერგიას მოიხმარენ. ბიტკოინის მუშაობაზე დღეს იმდენი ენერგია იხარჯება, რომ ის ზოგიერთი ქვეყნის ენერგომომარაგებას ეყოფოდა. მალე კრიპტოვალუტა ამ მაჩვენებლით გაასწრებს სერბეთის, დანიის და შემდეგ ბელარუსის ენერგომომარაგებასაც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სისტემა ფუნქციონირებისთვის საჭიროა უამრავი ნავთობის, გაზის და სხვა ნედლეულის

ნანა გულიკაშვილი, პალარი მოსიაშვილი

ხარჯვა. სპეციალისტების ნაწილი ფიქრობს, რომ ციფრული ვალუტა ეს ფასი არ ღირს. გარდა ამისა როგორც უკვე ვთქვით მისი რყევები საკმაოდ ხშირია მარკ ტ. უილიამსის თქმით, 2014 წლის მონაცემებით, ბიტკოინის ჰქონდა შვიდჯერ უფრო დიდი მერყეობა, ვიდრე ოქროს, რვაჯერ უფრო მეტი ვიდრე the S&P 500 s და 18-ჯერ უფრო მეტი, ვიდრე აშშ დოლარს. Forbes-

ის თანახმად, არსებობს შემთხვევები, სადაც არასტაბილურობას გავლენა არ აქვს, მაგალითად, ონლაინ თამაშები, სადაც ბიტკოინის გამოყენება ხდება და საერთაშორისო ფულადი გზავნილები.

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ბიტკოინის ფასის რყევებს წლების მიხედვით №1



ახლა კი განვიხილოთ კონკრეტულ ციფრებში წლების მიხედვით ბიტკოინის ფასის ცვლილება. 2011 წელს, ერთი ბიტკოინის ღირებულება სწრაფად გაიზარდა დაახლოებით \$ 0.30 აშშ დოლარიდან 32 აშშ დოლარამდე. 2012 წლის მეორე ნახევარში და 2013 წელს კვიპროსის ფინანსური კრიზისის პარალელურად ბიტკოინმა ფასის ზრდა დაიწყო, 2013 წლის 10 აპრილს 266 აშშ დოლარზე მაღალი აღმოჩნდა. 2013 წლის 29 ნოემბერს, ერთი ბიტკოინის ღირებულებამ 1,242 აშშ დოლარს მიაღწია. 2014 წელს ფასები მკვეთრად დაეცა. 2014 წლის აგვისტოს მდგომარეობით ერთი ბიტკოინი 600 აშშ დოლარი იყო. 2015 წლის იანვარში, ბიტკოინი დაეცა მის ყველაზე დაბალ დონეზე, 2013 წლის შემდეგ და შეადგინა 224 აშშ დოლარი. რისკები იყო მოსალოდნელი და ფასის მკვეთრი ზრდა ბიტკოინის ჰალვინგიდან გამომდინარე 2020 წელს რაც არ გამართლდა. 2015 წლის იანვარში ბიზნეს ინსაიდერმა განაცხადა,

რომ ნარკოტიკების დილერებისგან გაუღერდა, რომ ისინი შემოსავლებს კარგავენ ფასის ვარდნის პროპორციულად, რადგან არ შეუძლიათ ბიტკოინების სხვა ვალუტაზე სწრაფად და მათთვის უსაფრთხოდ გადაცვლა. ასევე არსებობდა საფრთხე, რომ ბიტკოინის მფლობელებს უარი ეთქვათ მათ ფლობაზე, გაეყიდათ და ამით უფრო მიეცათ ბიძგი, რომ ფასი დაეარდნო. Wall Street Journal-ის სტატიის მიხედვით, 2016 წლის 19 აპრილისთვის ბიტკოინი იყო უფრო სტაბილური, ვიდრე ოქრო წინა 24 დღის განმავლობაში და ვარაუდობენ, რომ მისი ფასი მომავალში უფრო სტაბილური გახდება. 2017 წლის 3 მარტს, ბიტკოინის ფასმა პირველად გადააჭარბა უნცია ოქროს საბაზრო ღირებულებას ხოლო 2020 წლის ნოემბრისთვის მოაწვდომით 18453\$ ს მიაღწია. როგორც ზემოთ ავლენიშნე ბიტკოინის ფასი იზრდება ოქროს ფასთან ერთად რაც ექსპერტების აზრით შემთხვევითი სულაც არაა. ხოლო კრიმ-

ინალების მიერ ბიტკოინის გამოყენება მალევე მოხვდა ფინანსური მარეგულირებლის, საკანონმდებლო ორგანოების, სამართალდამცავებისა და მედიის ყურადღების ცენტრში. SEC-მა გამოაქვეყნა გაფრთხილება ვირტუალური ვალუტის გამოყენებით საინვესტიციო სქემების შესახებ, ასევე აშშ-ის სენატმა 2013 წლის ნოემბერში ვირტუალური ვალუტების შესახებ მოსმენა გამართა The Daily Herald. რამდენიმე საინფორმაციო გამოშვებაში აცხადებდნენ, რომ ბიტკოინის პოპულარობის ზრდის ფონზე, მისი არაღებულური გამოყენება უფრო გაიზრდებოდა. 2014 წელს, კენტუკის უნივერსიტეტში მკვლევარებმა აღმოაჩინეს “შყარი მტკიცებულებები, რომ ენთუზიასტი პროგრამისტები და უკანონო საქმიანობა ბიტკოინში ინტერესის საგანი ხდება. მიუხედავად ამ ყველაფრისა ბიტკოინის დეცენტრალიზებული ბუნების გამო, მისი შეზღუდვა ან აკრძალვა შეუძლებელია, თუმცა მისი გამოყენება შეიძლება კრიმინალიზებული იყოს. ბიტკოინის იურიდიული სტატუსი არსებითად განსხვავებულია ქვეყნებს შორის. ზოგიერთმა ქვეყანამ მისი გამოყენება ვაჭრობისთვის და სხვა მიზნებისთვის ნებადართული გახადა, ზოგიერთმა კი საერთოდ აკრძალა. რეგულაციები და აკრძალვები, რომლებიც ვრცელდება ბიტკოინზე, შესაძლოა გავრცელდეს სხვა კრიპტოვალუტებზეც. გარდა ჩამოთვლილისა 2017 წელს დაფიქსირდა კრიმინალის ფაქტი ჩრდილოეთ კორეის პაკერული ჯგუფისაგან რომლებმაც სხვადასხვა სერვერებიდან მოიპარეს ბიტკოინები. ერთ-ერთმა ცნობილმა ამერიკელმა ფინანსისტმა ლარი ფინკმა

ბიტკოინის „ფულის გათეთრების ინდექსიც“ კი უწოდა. მისი აზრით, ბიტკოინის ფასის ზრდა აჩვენებს, რამდენად დიდია მსოფლიოში მოთხოვნა ფულის გათეთრებაზე. ცენტრალური ბანკების წარმომადგენლები დელავენ, რომ ბიტკოინის და ზოგადად, კრიპტოვალუტის დამკვიდრება სერიოზულ საფრთხეს უქმნის ცენტრალურ ბანკებს, აწარმოონ ოფიციალური მაკრო-ეკონომიკური სტატისტიკა, თუ როგორ მუშაობს და რას აწარმოებს ეროვნული ეკონომიკა, რაც, თავის მხრივ, პრობლემებს უქმნის მონეტარული პოლიტიკის სწორად განხორციელებას.

დასკვნა

კრიპტოვალუტის ყიდვა შედარებით გრძელვადიანი ინვესტიციაა. თქვენ შეგიძლიათ შეიძინოთ ამ ტიპის აქტივები, თუმცა მაინც გიწევთ ლოდინი მანამდე, სანამ გაიზრდება მისი ღირებულება რათა მოახერხოთ მისი სარიფიანად გაყიდვა. შესაბამისად, არ არის გამორიცხული, რომ დიდი ხნის განმავლობაში ვერ მიიღოთ მოგება. თუ გაგიმართლეთ და თქვენ მიერ შეძენილი კრიპტოვალუტის ფასი რამდენჯერმე გაიზრდება, მაშინ შეძლებთ ერთჯერადად დიდი შემოსავლის მიღებას. სხვა შემთხვევაში, ამ შედეგის მიღწევა რთულია. ამასთანავე, უნდა გაითვალისწინოთ, რომ კრიპტოვალუტით მაქსიმალური სარგებლის მისაღებად დაგჭირდებათ შედარებით დიდი ინვესტიციის ჩადება. და ყველანაირი რისკზე მხოლოდ და მხოლოდ თქვენ ხართ პასუხისმგებელი.

1. <https://1tv.ge/news/bitkoini-sainvesticio-sensacia-tu-khafangi/> .
2. <https://kapitali.ge/kriptoalutit-vatchroba/>
3. <https://www.cmcmarkets.com/en/learn-cryptocurrencies/what-are-the-risks>
4. <https://www.forbes.com/sites/forbes-personal-shopper/2021/03/02/raya-last-dragon-disney-plus-premier-access/?sh=49910dee6527>
5. <https://www.rmahq.org/what-are-the-inherent-risks-associated-with-cryptocurrency/?gmssopc>

Cryptocurrencies and their risks

*Nana gulikashvili, PhD student
Georgian Technical University*

*Valeri mosiashvili, Professor
Georgian Technical University*

Summary

This article aims to present the different types of risks associated with cryptocurrency, based on existing experience and has a recommendatory and informative nature. 21st Century Innovation in Money Cryptocurrency with its characteristics and differences between electronic and traditional money is presented as a non-risk financial asset. The second part presents the experience with cryptocurrency.

Key Words: Cryptocurrency. Decentralized. Financial risk. Investing. Unregulated. Money laundering, cyber attack.